



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 1
03/01/2019

1-06-4-201901031509



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების თანდართული წესი (დანართი №1).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 18/01/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016388).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო